საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვირთაგვა

ვირთაგვა

ვირთაგვა (Rattus), ძუძუმწოვართა გვარი თაგვისებრთა ოჯახისა. გვხვდება ყველგან, უდაბნოებისა და პოლარული მხარის გარდა. ცხოვრობს ძირითადად ადამიანთა საცხოვრებელ და სამეურნეო დანიშნულების შენობებში, ასევე ადამიანის დასახლების მოშორებით – მდინარეთა სანაპიროზე, სარწყავი არხის გარშემო, ტყესა და ბუჩქებში, ბოსტნებსა და ბაღებში, პარკებში, პურის ნათესებში. ბუნებრივ პირობებში სახლდება სოროში, ზვინებში, ზოგჯერ ფუღუროში ან ხეზე ტოტებისა და ფოთლებისაგან ბუდეს იკეთებს. საქართველოში ვ-ის გავრცელების ზედა საზღვარი ზ. დ. 1800 მ აღწევს. მისი სხეულის სიგრძეა 10–30 სმ, კუდი სხეულის 2/3-ს შეადგენს ან უფრო გრძელია. ვ-ის სხეული შემოსილია უხეში ერთფეროვანი მუქი ნაცრისფერი, მორუხო შავ-წითელი ან შავი ბეწვით. პოლიფაგი ცხოველია. მრავლდება მთელი წლის განმავლობაში, უფრო მეტად – წლის თბილ სეზონში. შობს 1–15-მდე ნაშიერს. სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 3–4 თვეში. წელიწადში იძლევა 2–4 თაობას. ნამარხი ფორმები ცნობილია შუა პლეისტოცენიდან. დიდი ზიანი მოაქვს – ანადგურებს საკვებს, აზიანებს ხის ძვირფას ნივთებს, შალისა და ბამბის ქსოვილებს, ბეწვეულს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, თავს ესხმის შინაური ფრინველების წიწილებს, ავრცელებს ინფექციურ სნეულებას (მუცლის ტიფი, დიზენტერია, ქოლერა და სხვ.). გვარში 60-მდე სახეობაა, რ-თა შორის საქართველოში ბინადრობს ორი: რ უ ხ ი ვ. (R. norvegicus; გავრცელებულია თითქმის ყველგან. სხეულის სიგრძეა 24 სმ, კუდისა – 10–12 სმ, მასა 522 გ აღწევს. გვხვდება მელანისტური ფორმები) და შ ა ვ ი ვ. (R. rattus; ასევე ფართოდაა გავრცელებული.

სხეულის სიგრძეა 225 მმ, კუდისა – 147 მმ, მასა 250 გ). ქვესახეობათაგან საქართველოში გვხვდება ორი: ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი შ ა ვ ი ვ. (R. r. rattus) და ალ ე ქ ს ა ნ დ რ ი უ ლ ი ვ-ები (R. r. alexandrinus).

გ. ენუქიძე